# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 4 აპრილი № 1426

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

## „მოამბე" და „ცნობის ფურცელი"

ერთად ღირს წელიწადში: ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის 11 მან., ქალაქ ტფილისის მცხოვრებიათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის დროს 6 მან.—ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის, ტფილისელ ხელის მომწერთათვის 5 მანეთი. შემდეგ აპრილის 1-ლს 3 მან. და ენკენისთვის 1-ლს 2 მანეთი.

**„ცნობის ფურცელი"** ცალკე—წელიწადში 6 მან., ნახევარ წელიწადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.

## განცხადება.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ „ივერია",
რომელსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველგვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება,
უკვე აიღო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში" და ამ მოკლე ხანში
აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.
ამასთანავე, საქმის გასადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად, ამხანაგობამ
საჭიროდ სცნო—ძირითადი თანხა გაადიდოს და ამის გამო გამოსცეს

**დამატებითი პაები, თითო პაი ას (100) მანეთად ღირებული.**

გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:

Въ гр. Баку. Князю Іосифу Іюлоновичу Дадіани. Въ контору торгово-промышленнаго товарищества „Иверія", по Меркурьевской ул., въ домѣ Арафелова.

**ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.**

გამგენი ამხანაგობისა სამთო ინჟენერნი { თ. ი. ი. დადიანი. თ. დ. გ. ჯორჯაძე. ბ. გ. ბრაილოვსკი.

(10—1—9)

## საუკეთესო არეშუმის ჭიის თესლი

მოიკითხეთ ქ. ბათუმში, მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში. ფასი ზომიერია.

(15—12)

### ტფილისის ვერძო
## სამკურნალო
### ვახნალის გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეი ა. გედევანიშვილი — ნერვების და ავადმყოფობა ელექტრონით — 9—10 ს.

ნ. ა ... — ყურის, ყელის და ცხვირის—11-12 საათამდე.

ი. პ. ხალვაშიშვილი — კბილის სნეულებანი —10 — საათამდე.

ა. ნ. სტილოვი — თვალის 11—12 ს.

ექიმი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვების 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვების და შინაგანი—1—1 საათამდე.

ვ. მარკევიჩი — სადოსტაქრო — $12\frac{1}{2}$ — $1\frac{1}{2}$ საამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დბეგთაპეგოვი — სიფილისის, კანის და საშარდე — $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

მ. ბაეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვების —2 სამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი —5—6 საათამდე.

ა. ა. ელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და ფიზიკო-ქიმიური გამოკვლევანი. —5—6 საათზე.

გ მაღაშვილი — კვირაობით — 10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი ჩვევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ჩთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრეს კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი გინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ტელეფონი № 274. (წლ.)

## რედაქციისაგან

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არ შემოუტანია დაკვეთილ „მოამბე"-„ცნობის ფურცლის" წლიური ფასი—შემოსატანის მეორე ნაწილი წარუდგინონ რედაქციას პირველ აპრილამდე; წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქცია 10 აპრილიდან აღარ გაუგზავნის გაზეთს.

### ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 4 აპრილს

ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის გამგებლობით

წარმოდგენილი იქნება

## ედმონდ კინი

დრამა 5 მოქმ. თარგმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ნ. ჩხეიძე, ნებიერიძე, კუნდელი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ანანიაშვილი და სხვ.

(2—უ—2) დასაწყისი საღ. $8\frac{1}{2}$ საათზე.

### თხზულებანი
## თ. რ. ერისთავისა
### I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

## ახალი ამბავი

✦ შაბათს, 31 მარტს, ღამის 12 საათზე, აღდგომის წირვა სიონის საკრებულო ტაძარში გადაიხადა საქართველოს ეგზარხოსმა ყოვლად-უსამღვდელოესმა ფლაბიანემ. წირვაზე ბრძანდებოდნენ: ბავარიის ტახტის მემკვიდრე პრინცი გიორგი, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე ა. ა. ფრეზე, გენერალ-იტეტი, ტფ. გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი, სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებათა უფროსნი და მრავალი ხალხი. წირვის დასრულების შემდეგ ბავარიის პრინცი და საპატიო პირნი მიპატიჟებულნი იყვნენ გახსნილების ნადიმზე მთავარ-მართებელთან.

✦ ორშაბათს, 2 აპრილს, ბავარიის პრინცი გიორგი თავის ამალით საგანგებო მატარებლით წაბრძანდა ბათუმს.

✦ გუშინ 3 აპრილს, კათოლიკეთა სასაფლაოზე დაკრძალეს გვამი ახლად გარდაცვალებულის კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილისა. განსვენებულის კუბოს ამშვენებდა მრავალი გვირგვინი, რომელთა შორის ჩვენ შევნიშნეთ ვერცხლის გვირგვინი სახალხო კითხვათა კომისიისაგან, ტფილისის თავად-აზნაურთა ღარიბ-მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებისაგან და სხვა. განსვენებულის მემკვიდრეებმა, როგორც იციან მკითხველებმა, 100 ათასი მანათი შესწირეს სახალხო სახლის ასაგებად.

✦ გავახსენებთ მკითხველთ, რომ დღეს, 4 აპრილს, ქართული წარმოდგენაა დანიშნული „ნაძალადევში" განზრახულ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ, გარდა ტფილისის სცენის არტისტებისა, ქ. ბ. ნ. ჩხეიძე და ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

✦ როგორც გადმოგვცეს, ტფილისის ხაზინას განკარგულება მოსვლია აღარ გასცეს ხაზინიდან ვერცხლის ხუთ შაურიანი, რადგანაც განზრახვაა მოკლე ხანში სრულიად მოსპონ ამ ფულის ხმარება.

✦ ოზურგეთის ქალაქის მოურავის თანაშემწედ დაინიშნა, გუბერნატორის გენმაიორის გერშელმანის ბრძანებით, ბ. იაგორ ჭელიძე.

✦ ქუთაისის მოქალაქეთა მამასახლისად დამტკიცებულ იქმნა მიხეილ არჯევანიძე.

✦ განჯის ვიცე-გუბერნატორად დაინიშნა ერევნის საგუბერნიო მმართველობის წევრი ბ. ანდრეევი.

✦ ახალქალაქის მაზრიდან გვწერენ, რომ ზოგიერთ ადგილას მინდვრებში კვლავ გაჩენილა გოტენტოტური ბალღიჯო და პურის მწერი. მცხოვრებნი, რომელნიც ისედაც შევიწროებულნი იყვნენ შარშანდელის გაჭირვებით, დიდს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ.

✦ დღეს, 4 აპრილს, მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი არ მიიღებს მთხოვნელთ და სამსახურის პირთ („კავკაზ")

✦ კავკასიის გზათა უწყების უფროსის თანანდებობის აღმასრულებელი ბ. უნევიჩი ამ დღეებში გაემგზავრება გზების დასათვალიერებლად ამიერ კავკასიის სხვა და სხვა ადგილებში.

✦ წყლების ინსპექტორი კავკასიაში პეტროვი დაბრუნდა ტფილისს ერევნის გუბერნიიდან.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის თანაშემწემ, ბ. შიმანოვსკიმ, დაასრულა აღწერა ხსენებულ სამინისტროს დაწესებულებათა მოღვაწეობისა წარსულ საუკუნის განმავლობაში კავკასიაში; ეს აღწერა შეადგენს ნაწილს წარსულ საუკუნის ოფიციალურის ისტორიისა, რომელიც გამოიცემა მომავალ იუბილეის გამო.

✦ 1-ლ აპრილს, ხაროვუხში, შერმილოვის სახლში, ბორჩალოს მაზრის მცხოვრები იზმაილ-ბაბა-ოღლი წაეკიდა თავის საყვარელს ხანუმ-ადა-კიზის და შამფურით მძიმედ დასჭრა უკანასკნელი მუცელში. დამნაშავე შეიპყრეს; დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 1-ლ აპრილს, დიდუბეში მცხოვრებმა კოსტა მანიაშვილმა, ვერის ბაღების ახლო, ერთ-ერთ დუქანთან რევოლვერი ესროლა მეტლეს პოტრიასოვს და მძიმედ დასჭრა იგი თავში. დამნაშავეს პოლიცია დაეძებს.

## პროვინცია

**ოზურგეთი.** ქუთაისის გუბერნიის მმართველის განკარგულების გამო, ქალაქის რწმუნებულებმა საერთოდ ყველამ თავი დაანება თავის თანამდებობას და საჩივარი გაგზავნეს უმართებულეს სენატში. ადგილობრივი საზოგადოების მოთავე-წინამძღოლნი სცდილობენ სხვადა-სხვა საერთო, სასარგებლო საქმეების გაწყობას: ორი-სამიოდე კაცის მოთავეობით არსდება აქ ოზურგეთელ მოვაჭრეთა ამხანაგობა-სინდიკატი. მიზანი ამ ამხანაგობისა ის არის, რომ ოზურგეთისა და ახლო მდებარე დაბა-სოფლებისთვის გამოწერილ იქმნას ადგილობრივ მცხოვრებთათვის საჭირო საქონელი პირდაპირ რუსეთის უმთავრეს ფირმებიდან. ამ გზით რამოდენიმე პროცენტი ეთმობა თვით ვაჭრების ფაბრიკის ფასებთან შედარებით ყოველივე გამოწერილ საქონელზე; ამნაირად თვით მცხოვრებთათვის საჭირო ნივთები გაიაფდება. სინდიკატის წევრს შეუძლია გამოიწეროს საქონელი და ათის თვის განმავლობაში ფული არ გადიხადოს ნაღდათ; ფირმების წინაშე პასუხს აგებს სინდიკატი, ამ წესით ფირმაც დაიმედებულია და ადგილობრივი მოვაჭრეც დიდათ მოგებული. ასეთი საშუალება ამ ჟამად ნამეტანი სასურველია ჩვენში, რადგანაც, სამწუხაროდ ჩვენდა, ამ უკანასკნელ ხანებში, უცხო ელემენტის გავლენის გამო, ჩვენ ზოგიერთ ქუთათურ ვაჭრებთ შორის «მოდათ» შემოვიდა გაკოტრება, რაიცა ჩვენს ვაჭრებს სახელს უტეხდა. ამნაირის გარემოების ასაცილებლადაც სწორედ საჭიროა სინდიკატი, რომელიც არსდება ქ. ოზურგეთში. ასეთმა ერთობამ ინტერესისამ გამოიწვია საქონლის «გადამტან-გადმომზიდველ» საზოგადოების «იმედის» სააგენტოს გახსნა ქ. ოზურგეთში; ამ საშუალების შემწეობით, ოზურგეთელ ვაჭარს შეუძლია მხოლოდ სურვილი გამოაცხადოს, რომ ასეთი თუ ისეთი საქონელი უნდა თავის სავაჭრო სახლში მოუვიდეს, და სრულიად მისთვის შეუწუხებლად სინდიკატის სახელით საქონლის გადამზიდავ საზოგადოების დახმარებით გაპეიკის დაუხარჯავად მოუვა ქ. ოზურგეთში ყოველნაირი გამოწერილი საქონელი და მხოლოდ აქ შეუძლიან გაასწოროს ანგარიშები ან დაუყოვნებლივ ნაღდათ, ან 6

თვის განმავლობაში, თუ ფული ხელთ არ აქვს. ამ საქმის ხელის გასწყობად საჭირო დარჩა «საურთიერთო ნდობის ბანკის» დაარსება ქ. ოზურგეთში; ეს აზრი უკვე ყველასაგან მოდებულ-შეთვისებულია, ასე რომ ამ დღეებში იგზავნება შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროში. სხვა არა იყოს-რა აქ დაარსებულ «სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობას შუამავალს», ყოველ წელიწადში საჭირია 40—50 ათასი მანეთის და კიდე მეტის სესხის აღება აბრეშუმის პარკის სასყიდლად. როცა სარწმუნო დაწესებულებას «საურთიერთო ნდობის საზოგადოებას» იქმნება აქ დაარსებული, ამ ამხანაგობის მიზანიც ასრულებული იქმნება და მცხოვრებთა უმრავლესობის საჭიროებაც დაკმაყოფილდება; ამ ნაირად უცხოელ ვაჭრებს არ ჩაუვარდება ხელში დაკლებულ ფასებით ადგილობრივი ნაწარმოები. ყოველივე მოსაზრებით ეს საქმე სასურველია ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

იაქე.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 აპრილი.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესი გრამოტები: ებოძათ ორდენები წმ. ვლადიმირისა პირველის ხარისხისა: ობერ-შტალმეისტერს გრაფ ორლოვ-დავიდოვს, დ. ტ. ს. ივანე კორნილოვს, დ. ტ. ს. თავ. მანველოვს, კავალერიის გენერალს კოზლოვს; ალექსანდრე ნეველის ორდენები ბრილიანტებით: ელჩს გერმანიაში გრაფ ოსტენ-საკენს და შტალმეისტერს მერდერს; ალექსანდრე ნეველის ორდენები: გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს ობოლენსკის, საპატიო ოპეკუნს თავად ობოლენსკის, გენ. ლეიტენანტს ტერნერს, გენ. ლეიტენანტს ფონ-ვალს; დაინიშნენ სახელმწიფო საბჭოს წევრებად: სენატორი მარკოვი, გენ. ადიუტანტი არსენიევი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი; ებოძა დეისტვ. ტაინი სოვეტნიკობა გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფ ლამსდორფს; გენ. ლეიტენანტებს ფელდმანსა, კოზენს და პარენსოვს ებოძათ ინფანტერიის გენერლობა; გენერალ-მაიორებს კურსკის გუბერნატორს გრაფ მილიუტინს და შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრს ევგ. ბოგდანოვიჩს—გენერალ-ლეიტენანტობა. ებოძათ თეთრის არწივის ორდენები: სარატოვის გუბერნატორს თავად მეშჩერსკის, საპატიო ოპეკუნს ტიმირიაზევს; წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენი ტვერის გუბერნატორს თავ. გოლიცინს.

**პეტერბურგი.** მთავრობის განცხადებანი: I. გასულ იანვრის მეორე ნახევრიდან თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში ადგილი ჰქონდა სტუდენტების არეულობას, რამაც გამოიწვია სწავლის შეჩერება. სწავლის შეჩერებამ ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო საქმე, რომ მოსწავლეებს უნდა დაეკარგოს მთელი წელიწადი, ზოგიერთებმა კი, არსებულ წესებით, სრულიად უნდა დაანებონ თავი სასწავლებელს. ამგვარი შედეგი მეტად შემავიწროებელი იქნება მოსწავლეთათვის. უმაღლესის ბრძანებით მოწვეულმა საგანგებო კრებამ, შემდგარმა სასწავლებელთა უწყების უფროსებისაგან, საერო განათლების მინისტრის თავჯდომარეობით, გადაწყვიტა საქმის მოწეს-რიგებისათვის შემდეგი ღონისძიებანი მიიღოს: 1) აპრილის განმავლობაში უმაღლეს სასწავლებლებში დაწყებულ იქმნას სწავლა ან და, ადგილობრივ სამოსწავლო მმართველობის ნებართვით, დაინიშნოს ეგზამენები; 2) თუ სწავლის დასრულებისა და ეგზამენების ჩოხდენისათვის საზაფხულოდ დათხოვნის დრომდე ცოტა დრო დარჩა, სწავლა და ეგზამენები გაგრძელდეს ზაფხულშიაც, სანამ საჭირო იქნება; 3) ვინც ეგზამენზე არ გამოცხადდება ან ვინც ეგზამენებს ვერ დაიჭერს, მათ სამოსწავლო მმართველობა უნდა მოექცეს თანახმად არსებულის წესებისა უმაღლეს სასწავლებლებში; 4) უმაღლეს სასწავლებლებში წრეულს მხოლოდ ნება დართულ იქმნეს ამა თუ იმ პირისათვის შემოდგომაზე ეგზამენები და განმეორებითი ეგზამენები განსაკუთრებულ პატივ სადებ მიზეზთა გამო, თუ თვით მოითხოვენ და მათ თხოვნას სასწავლებლის სათანადო მთავრობა შეიწყნარებს. II. უმაღლესად ნაბრძანებია კუნძულ სახალინის და მის საპატიმრო დაწესებულებათა მართვა გამგეობის, რაც შეიძლება, საჩქაროდ მოსაწყობად, იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ იქმნეს სენატორ შმემანის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული კომისსია, რომელიც შესდგება იუსტიციის სამინისტროს და სხვათა დაინტერესებულ უწყებათა წევრთაგან. კომისიის თავმჯდომარეს ნება ეძლევა მიიწვიოს ხოლმე მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ისეთი პირები, რომელთაც შეუძლიანთ თავისის ცოდნითა და გამოცდილებით სასარგებლო შემწეობა აღმოუჩინონ საქმეს.

**შლისსელბურგი.** ნევა გაიწმინდა ყინულისაგან სათავიდან ორ ვერსზე.

**სარატოვი.** ვოლგაზე ყინული დაიძრა. ორი გემი გაემართა ქვეითკენ. ქვეიდან მოვიდა ერთი ხალხის მატარებელი გემი.

**ჩისტოპოლი.** კამაზე აქა-იქ ყინული დაიძრა, ყინულით შეგუბებული წყალი გაიწმინდა.

**ჰააგა.** გარეშე საქმეთა მინისტრმა, როგორც თავმჯდომარემ საერთა შორისო სამედიატორო სასამართლოსამ, შეატყობინა ევროპისა და გარეშე ევროპის ყველა სახელმწიფოს, რომ სამედიატორო სასამართლო შესდგა; განსაკუთრებული განცხადება იმის მოქმედების დაწყებისა არ მოხდება. სამედიატორო სამართლის შესახებ კონვენციებზე ხელი არ მოუწერიათ ჯერ კიდევ ჩინეთს, ლიუქსენბურგს, მექსიკას და ოსმალეთს.

**ლონდონი.** როგორც ამბობენ, ინგლისი თხოულობს ზარალის საზღაურად ექვს მილიონ გირვანქა სტერლინგს.

**ბერლინი.** კრონპრინცი ვენაში წავიდა.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა უბრძანა პატრიარქს უარი თქვას თავისს თანამდებობაზე, რადგან აგვიანებდა იმ ირადეს წაკითხვას, რომლითაც დამტკიცებული იყო სინოდის გარდაწყვეტილება პატრიარქის გამოცვლის შესახებ.

2 აპრილი.

**ვენა.** გერმანიის ტახტის მემკვიდრე მოვიდა რკინის გზის სადგურზე, სადაც შეხვდა იმპერატორი და ჰერცოგები, რომელთაც გულითადის სიამოვნებით მიიღეს სტუმარი. აუარებელი ხალხი აღტაცებით უხვდებოდა კრონპრინცს.

**ტულონი.** იტალიის ესკადრა გავიდა დილის 8 საათზე და 45 წამზე.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატების მთავრობამ წარუდგინა სახელმწიფოებს ახალი წინადადება შესახებ ზარალის საზღაურისა, რომელიც უნდა მოეთხოვოს ჩინეთს. როგორც ამბობენ, შეერთებულ შტატების მთავრობამ მისცა ბრძანება თავისს წარმომადგენელთ პეკინში, რომ ზარალის საზღაურის მოთხოვნილება მხოლოდ მაშინ დაიცვან, თუ იგი არ აღემატება 200 მილიონ დოლარს. ეს საზღაური უნდა გაიყონ მთავრობათ თანასწორად და ფულად უნდა იქმნეს გარდახდილი. თუ მთავრობათ ამ წინადადებაზე უარი სთქვეს, ამერიკა მიჰმართავს სამედიატორო სასამართლოს ჰააგაში.

**ანტიბი.** ვალდეკ-რუსსო თანდათან უფრო კარგად არის; ოთხშაბათს მინისტრ-პრეზიდენტი აპირებს გენუაში წასვლას.

3 აპრილი.

**ლონდონი.** აქ ამბავი გავრცელდა, რომ ბურებმა ნისლიანი ამინდის დროს ტყვედ წაიყვანეს გენერალი ფრენჩი და ხუთასი ინგლისელიო. მთავრობას არა სჯერა, რომ ეს ამბავი ნამდვილი იყოს.

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება პეკინიდან, რომ იმ ყაჩაღების დასაჭერად, რომლებიც 26 მარტს შენიშნეს მთებში პეკინიდან 30 კილომეტრის სიშორეზე, აქედან გაიგზავნა მაიორი ფონ შენბერგი ერთი როტით და ცხენოსანი ჯარისა და სამინდვრე არტილერიის პატარა რაზმებით.

**შანჰაი.** მაღალ-წარჩინებულ მანდარინებს ამბავი მოჰსვლიათ სიანფუდან, რომ იმპერატორის სახლობა ხსინიანში წასასვლელად ემზადებაო. ეს ცნობა მტკიცდება იმ გარემოებითაც, რომ იმპერატორის მუდმივი 6 მინისტრიც ამ მოკლე ხანში პეკინიდან სიანფუში წავიდნენ; ჰფიქრობენ, რომ ახალ სატახტო ქალაქს დაჰნიშნავენო. პეკინის ჟანდარმების უფროსიც სიანფუში წავიდა.

**პეკინი.** იაპონიის წარმომადგენლებმა შეატყობინეს ჩინეთის რწმუნებულებს, რომ იმპერატორის დაბრუნება უსათუოდ საჭიროაო.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანი ბეჯითად თხოულობს, რომ დამად-მახმუდ-ფაშასთან ერთად ქაირიდან ორი მისი ვაჟიშვილიც დაბრუნდეს; ვაჟიშვილებმა უარი თქვეს, ამიტომ დამად-მახმუდ-ფაშა მარტოკა ბრუნდება; რადგანაც ხედივმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლიან დამადის შვილები დააბრუნოს, ამიტომ მიწერ-მოწერა ამ საგნის შესახებ სულთანს და ხედივ შუა ხელ-მეორედ დაბრკოლდა.

**პეკინი.** ახალგაზდა ჩინელი, სახელად ხოვანი, დაიჭირეს, როგორადაც ბარჩის მკვლელი. ეს გამოტყდა, რომ მან ჩაიდინა ბოროტ მოქმედება, და ამბობს, რომ ჯავრ მოსულმა ჩავიდინე ეს საქმე, რადგანაც ბარჩი ცუდად მექცეოდაო. მას თავიც კი მოაქვს თავისი საქციელით. ხოვანი და დღესვე დატუსაღებული მეორე ჩინელი ბარჩის ცხენზე ისხდნენ დაჭერის დროს; ამას გარდა, დაატუსაღეს კიდევ ორი ჩინელი, რომლებიც, როგორც გუმანი აქვთ, ამ მკვლელობაში ურევიან.

### პეტერბურგის ბირჟა 29 მარტს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,70 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,87 1/2 |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,30 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,65 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | $5^3/_4$,—$7^1/_4$% |

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ ა ნ ე თ ი. | | |
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — | $96^1/_8$ |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა | — | 96 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | — | — | $350^3/_4$ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $287^1/_2$ | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | — | — | $220^3/_4$ |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | $88^5/_8$ | — | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | $92^1/_2$ | — | — |
| $4^1/_2$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა | $86^1/_2$ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 93 | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — | — | $92^8/_8$ |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | $84^1/_2$ | — | — |

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

# გამოსადეგი ცნობანი

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.)

სათოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 1[illegible] წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (6 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

სათოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან [illegible] (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. ([illegible] ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

**საავადმყოფოები:**

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასო. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-[illegible]როვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მე[illegible]ქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუ[illegible] სახლი ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვ[illegible]

თვალების სამკურნალო, ელისედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაი[illegible].

ქალაქის საავადმყო და სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 5 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტომანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნომერი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიულისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Апрѣля 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, განქის დიდი ქუჩა, № [illegible].